ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №803615

ნომერი: AR1146951

თარიღი : 16.07.2013

გაცემის თარიღი : 22.07.2013

გაცნობის თარიღი : 22.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. ალექსიძე , N 2 (ყოფილი მ. ალექსიძის ქ. N1-ის მიმდებარედ);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ ბასილაშვილი პ/ნ 40001002938
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 71ა ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და ვინაიდან საპროექტო ობიექტი ახლად აშენებული, არქიტექტურული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული იერსახის მქონე შენობაა, რომლის იერსახეც არ არის დარღვეული არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საჩრდილობლის მოწყობა, საჩრდილობლის ვიზუალური მხარე საჭიროებს მეტად დახვეწა–გადამუშავებას არსებული შენობის იერსახის გათვალისწინებით ფერის ცვლილებას , ხოლო რაც შეეხება კონდენციონერების განთავსებას წარმოდგენილი სახით სამსახური ვერ დაეთანხმება, საჭიროა მოიძებნოს სხვა ალტერნატიული ადგილი რათა კონდენციონერების ხილვადობა ნაკლებ თვალსჩინო იყოს (შესაძლებელია მათი მოწყობა განხორციელდეს ეზოს მხრიდან, შენობის უკანა ფასადზე / აღნიშნული ორიენტაციის არსებობის შემთხვევაში /, ან განთავსდეს ერთად ჯგუფურად და შემდგომ შეიფუთოს არსებულ სიტუაციასთან მისადაგებული დეკორატიული ელემენტებით, ასევე შესაძლებელია განათავსოთ საპროექტო საჩრდილობლების ქვეშ), ამასთანავე გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა ხელახლა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1 "ფაილის მიმაგრების" ველში უნდა აიტვირთოს პროექტის ავტორის (არქიტექტორის) თანხმობა (შესაძლებელია ახალი ვარიანტი დამუშავებულ იქნას პროექტის ავტორის მიერ);

2."ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ საპროექტო ფართის/ების მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით, ან შესაძლებელია ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი/ები – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ატვირთულ იქნას "ფაილის მიმაგრების" გრაფაში;

3.ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის/ების საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის/ების მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში)ან ასევე შესაძლებელია ფართის მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად;

4. ".არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს ფაილში აიტვირთოს ახალი (ადგილმონაცვლებულის შემთხვევაში) კონდენციონერის განთავსების ადგილის სურათები შორი მანძილიდან გადაღებული;

5 "ფოტომონტაჟი"–ს ველში აიტვირთოს არსებულ სიტუაციის ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული სამსახურის რეკომენდაციის გათვალისიწნებით შესრულებული განახლებული ფოტომონტაჟი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.